

სისხლის დონაციის აქცია სამხარეო ადმინისტრაციაში

25 მაისი 2018

შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტის სისხლის ბანკის ორგანიზებით გუბერნიაში სისხლის უანგარო დონორთა აქცია მოენყო.

საქველმოქმედო აქციაში სამხარეო ადმინისტრაციისა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებმა მიიღეს მონაწილეობა, რითიც ხელი შეუწყეს სისხლის ბანკის მარაგის შევსებას. ჰემატოლოგიის ინსტიტუტის სისხლის ბანკიდან საქართველოს მასშტაბით 40 - მდე კლინიკა მარაგდება, მათ შორის არიან როგორც ონკოლოგიური, ასევე ჰემატოლოგიური პროფილის კლინიკები.